პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 8 მარტი, 1952 წ. № 58 (9218). ფასი 20 კაპ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კიდევ უფრო გააძლიერებენ შეუღალავად აქტივობას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ ჩვენი დიდი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტი

ხუთ მარტს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს პირველი სხდომები.

გუშინ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე ბალხის რჩეულებმა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მოხსენება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მიმდინარე წლის ბიუჯეტი შედგენილია საბალხო მეურნეობის განვითარების გეგმის სრული შესაბამისობით და მისი მიზანია საფინანსო რესურსებით უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის განუწყვეტელი ზრდა, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცება.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობა გათვალისწინებულია შემოსავლის ნაწილში 508,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში 476,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით, შემოსავალი აღემატება გასავალს 31,9 მილიარდი მანეთით. გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 8,7 პროცენტით და გასავალი — 8,1 პროცენტით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძალსა და სიმტკიცეს. ახალი ბიუჯეტის ციფრებით გამოხატულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების თანმიმდევრული განმტკიცება, რაც მიღწეულია მილიონობით ადამიანთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შედეგად.

ცნობილია, რომ პირველი ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულების შემდეგ საბჭოთა ხალხმა გასულ 1951 წელს ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თავის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა სწრაფი ტემპით ვითარდება. საბჭოთა მრეწველობამ 1951 წელს გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელთან შედარებით გადიდდა თექვსმეტი პროცენტით და 1950 წლის დონეს ერთიორად და უფრო მეტად გადააჭარბა. დიდი წარმატებებია მიღწეული სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მარცვლეულის საერთო მოსავალი ყოველწლიურად აღემატება ზვიდ მილიარდ ფუთს, განუხრელად იზრდება ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოება, მატულობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობა.

ჩვენს ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით გაჩაღდა კაპიტალური მშენებლობა. განუწყვეტლივ იზრდება საწარმოო ფონდები სახალხო მეურნეობაში. გასულ წელს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი 1950 წელთან შედარებით გადიდდა თორმეტი პროცენტით და ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის კაპიტალურ დაბანდებებს.

მშვიდობიანი მშენებლობის უდიდესი გაქანება მკაფიოდ გამოხატულებას პოულობს გიგანტურ სამუშაოთა განხორციელებით კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებზე. გასულ წელს წარმატებით იქნა შესრულებული ვოლგა-სა, დონსა და დნეპრზე დიდ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის, აგრეთვე თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობის დადგენილი საგეგმო დავალებანი.

სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე ჩვენში განუწყვეტლივ იზრდება ნაციონალური შემოსავალი, უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. 1951 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1950 წელთან შედარებით გაიზარდა შესადარ ფასებში 12 პროცენტით. საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით. ნაციონალური შემოსავლის ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა და უზრუნველგვეყო სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოება ქალაქად და სოფლად. კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობისათვის ნათლად იჩენს თავს ხალინაო მშენებლობის ფართოდ გაჩაღებით, ხალხმეურნეობა საცალო ფასების სისტემატური შემცირებით, საქონელბრუნვის გაფართოებით. კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი, გადიდდა საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის.

მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლისათვის დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების შემდგომ გადიდებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას, სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამის განხორციელებას და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტს. საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტი მშვიდობიანი მშენებლობის ბიუჯეტია.

ამხანაგმა სტალინმა „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში 1951 წლის თებერვალში აღნიშნა, რომ „არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოსაც, არ შეუძლია მთელი გაქანებით განავითაროს სამოქალაქო მრეწველობა, დაიწყოს ისეთი დიდი მშენებლობანი, როგორიცაა, მაგალითად, ჰიდროსადგურები ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე, რომლებიც ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვენ, განაგრძოს მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკა, რაც აგრეთვე მოითხოვს ათეულ მილიარდობით საბიუჯეტო ხარჯებს, ასეული მილიარდები დააბანდოს გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში, და ამასთანავე, ამავე დროს, გაამრავლოს თავისი შეიარაღებული ძალები, გააფართოოს სამხედრო მრეწველობა“.

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უდიდესი ნაწილი მიმდინარე წელს, ისევე როგორც ომისშემდგომ წინა წლებში, ხმარდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაფინანსებას. ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 23,9 პროცენტის ოდენობით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ საბჭოთა ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი ნაწილი შემოდის სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. მოსახლეობის გადასახადებს 1952 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში მხოლოდ 9,3 პროცენტი უჭირავს.

სულ სხვა ხასიათი აქვს კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებს. მაშინ როცა საბჭოთა კავშირი და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, იმპერიალისტურ ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატები, სულ უფრო ძლიერდება მზადება ახალი მსოფლიო ომისათვის, წარმოებს გამალებული შეიარაღება და ამავე დროს იკვეცება სამოქალაქო მრეწველობა. ომის მომზადებისა და გამალებული შეიარაღების დაფინანსება ნთქამს ბურჟუაზიული ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების უდიდეს ნაწილს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალური ცნობებითაც კი, სამხედრო ასიგნობანი უკანასკნელ წელს ერთიანად და უფრო მეტად გადიდდა და ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს.

შეიარაღების ზრდა და მეურნეობის მილიტარიზაცია, რასაც კაპიტალისტური მონოპოლიები ახორციელებენ მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, იწვევს მოსახლეობის ფართო მასების შემდგომ გაღატაკებას. ეკონომიკის მილიტარიზაციისა და შეიარაღების ზრდის მთელ სიმძიმეს იმპერიალისტები მშრომელებს აკისრებენ, კიდევ უფრო აძლიერებენ მასების ექსპლოატაციას და გადასახადთა ტვირთს, უსაზღვროდ ზრდიან მასობრივი მოხმარების საქონლის ფასებს, შიმშილისა და სიღატაკისათვის განწირავენ მილიონობით ადამიანს.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა უკვე დიდი ხანია სამუდამოდ მოსპეს ყველა და ყოველგვარი ექსპლოატატორი და მჩაგვრელი, მოიპოვეს თავისუფალი და ბედნიერი სოციალისტური ცხოვრება. საბჭოთა ხალხის ისტორიული მაგალითის მიხედვით და მისი აქტიური დახმარებით, სოციალიზმის საფუძვლებს ქმნიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი. ახალი ცხოვრების მშენებლობაში დიდ წარმატებებს მიაღწია დიდმა ჩინელმა ხალხმა. განუხრელად ავითარებს მშვიდობიან მშენებლობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის სტალინურ პოლიტიკას, მშვიდობისათვის და ხალხთა შორის მეგობრობისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას. სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გამომდინარეობს საბჭოთა სახელმწიფოს თვით ბუნებიდან, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძირეული პრინციპული საფუძვლებიდან და ჩვენი ხალხის საარსებო ინტერესებიდან.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ახმარს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, სულ უფრო ფართოდ აჩალებს სოციალისტურ შეჯიბრებას 1952 წლის საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. მილიონობით საბჭოთა პატრიოტის ღონისძიებანი მიმართულია იმისაკენ, რომ უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, პროდუქციის გამოშვების გადიდება, მისი ხარისხის ამაღლება და თვითღირებულების შემცირება, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის განხორციელება. სოფლის მეურნეობის მშრომელნი იბრძვიან მინდვრების მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის.

ჩვენი სამშობლოს ინტერესები მოითხოვს სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის სასტიკად დაცვას, ყველა საწარმოში, ყველა დაწესებულებაში მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებას — ეს არის 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საწინდარი. სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ახალი დიდი წვლილი იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი განუხრელად მიდის სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის გზით, აღწევს სულ ახალ და ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

„პრავდის“ 7-III მოწინავე

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს მ ე ს ა მ ე ს ე ს ი ა

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

ეროვნებათა საბჭოს 1952 წლის 7 მარტის სხდომის შესახებ

7 მარტს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ჟ. შაიახმეტოვი.**

ეროვნებათა საბჭომ მოისმინა ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** თანამოხსენება.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ბ. ნ. ჩერნოუსოვი** (რუსეთის სფსრ ომსკის ოლქი), დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი** (ლატვიის სსრ კროვის ოლქი), დეპუტატი **პ. ა. აბრასიმოვი** (ბელორუსიის სსრ მოზირის საქალაქო ოლქი), დეპუტატი **გ. შ. კარუაუბაევი** (ყაზახეთის სსრ ზაისანსის ოლქი), დეპუტატი **გ. ი. რუდი** (მოლდავეთის სსრ დროკიის ოლქი), დეპუტატი **ო. ვ. რომანოვა** (მარეთის ასსრ მორკის ოლქი), დეპუტატი **ლ. ა. ილისონი** (ესტონეთის სსრ ხარიუსის დასავლეთი ოლქი), დეპუტატი **ფ. ლ. დოდი** (უკრაინის სსრ როვნოს ოლქი) და დეპუტატი **ბ. ლ. ლობსანოვი** (ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ბარგუზინის ოლქი).

ამით ეროვნებათა საბჭოს მეორე სხდომა მთავრდება.

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ც ნ ო ბ ა

კავშირის საბჭოს 1952 წლის 7 მარტის სხდომის შესახებ

7 მარტს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი.**

კავშირის საბჭომ მოისმინა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** თანამოხსენება.

საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **დ. ს. კოროტჩენკო** (უკრაინის სსრ ამურ-ნიჟნედნეპროვსკის ოლქი), დეპუტატი **ი. ვ. კაპიტონოვი** (მოსკოვის ოლქის ეგორიევსკის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი** (საქართველოს სსრ თელავის ოლქი), დეპუტატი **ფ. რ. კოზლოვი** (ქალაქ ლენინგრადის ოქტომბრის ოლქი), დეპუტატი **ლ. ნ. ეფრემოვი** (კუიბიშევის ოლქის სიზრანის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **ა. ე. კლეშჩევი** (ბელორუსიის სსრ ვიტებსკის ოლქი), დეპუტატი **ა. პ. ეფიმოვი** (ხაბაროვსკის მხარის ხაბაროვსკის საქალაქო ოლქი), დეპუტატი **ვ. ა. ამბარცუმიანი** (სომხეთის სსრ ეჩმიაძინის ოლქი), დეპუტატი **ი. პ. ოსტროვი** (ლატვიის სსრ კულდიგის ოლქი), დეპუტატი **კ. კ. ნიკოლაევი** (სვერდლოვსკის ოლქის სეროვის საარჩევნო ოლქი), დეპუტატი **მ. ფ. ტიმაშოვა** (ვორონეჟის ოლქის ლისკის საარჩევნო ოლქი).

ამით კავშირის საბჭოს მეორე სხდომა მთავრდება.

კ რ ე მ ლ ი ს დ ი დ ს ა ს ა ხ ლ ე შ ი

6 მარტს, საღამოს 7 საათზე, კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ჟ. შაიახმეტოვი,** პალატების თავმჯდომარეთა მოადგილეები დეპუტატები — **ა. ი. კირიჩენკო, ტ. მ. ზუევა, ა. ი. ნიაზოვი, მ. ტ. იაკუბოვი, ვ. ტ. ლაცისი, თ. მ. მათიაშვილი.**

მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები: **ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, მ. თ. შკირიატოვი.**

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მთავრობის ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, მინისტრები.

სტუმრების ლოჟებში არიან მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, საბჭოთა და უცხოეთის ჟურნალისტები.

თავმჯდომარე — დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომას გახსნილად აცხადებს.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრს **ა. გ. ზვერევს.**

ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენებით იხილავენ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. (საკ. ესი).

კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა ქ ტ ი უ რ ი მ შ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს ჩვენი ქვეყნის მშრომელები აღნიშნავენ სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში.

სოციალისტური საზოგადოების ძლიერების განმტკიცებისათვის გაშლილ დიდ შემოქმედებით შრომაში შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ქალები. ისინი მამაკაცების მხარდამხარ შრომობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, მამაკაცების თანაბრად ქმნიან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ეს გასაგებიც არის. საბჭოთა ქალმა თავისი მაღალი მდგომარეობა მოიპოვა მხოლოდ სოციალისტური წყობილების გამარჯვების მეოხებით. ლენინ-სტალინის პარტიის შეუნელებელი მზრუნველობით, დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ყველა პირობა ქალთა კადრების აღზრდადაწინაურებისათვის. ამას ნათლად ადასტურებს ისიც, რომ ამჟამად ჩვენში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტ-ქალთა რიცხვი 830 ათასს აღემატება, ათეულ ათასობით ქალი სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, მრავალი ქალი ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ სამუშაოზეა დაწინაურებული და წარმატებით უძღვება დაკისრებულ საქმეს.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე მომუშავე მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი ქალები განუწყვეტლივ ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას, აუმჯობესებენ წარმოების ტექნოლოგიას. ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ამაყობს მრეწველობის ნოვატორი ქალებით.

დიდ როლს ასრულებს ქალი სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო მშენებლობამ საზოგადოებრივი მეურნეობის მრავალი შესანიშნავი ორგანიზატორი ქალი წამოაყენა. ასობით ქალი მუშაობს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, ბრიგადიერებად, ტრაქტორისტებად, კომბაინერებად. საკოლმეურნეო წყობილებამ აღზარდა ახალი ადამიანები, ახალი ქალები. მათთვის სამშობლოს ინტერესები, საერთო ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას. ისინი მთელ თავიანთ ენერგიას სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს ახმარენ, ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვეს, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალური ბაზის შექმნაში. საკოლმეურნეო მინდვრებზე ასობით მუშაობენ სოციალისტური შრომის გმირი ქალები. მათ შორის მრავლად არიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ქალები.

ჩვენი ქვეყანა ამაყობს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე ქალებით, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მრავალი მეცნიერი მუშაკი ქალი მოღვაწეობს. ისინი თავიანთი გამოკვლევებითა და აღმოჩენებით ამდიდრებენ საბჭოთა მეცნიერების საგანძურს. მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე ქალთა რიცხვის უმაგალითო ზრდას ისიც ადასტურებს, რომ მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 579 ქალს სტალინური პრემიის ლაურეატობა აქვს მინიჭებული. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც. დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ქალებს სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ ქალთა პოლიტიკური ზრდისათვის. ამ ზრუნვის მეოხებით საბჭოთა ქალები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში: 280 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 2.209 ქალი არჩეულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად.

ყოველდღიური სტალინური მზრუნველობით გარემოსილია ქალი-დედა. საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ პატივს სცემს დედებს — კომუნიზმის მშენებელთა მომავალი თაობის აღმზრდელებს. 35 ათასზე მეტ ქალს „გმირი დედის“ საპატიო წოდება აქვს მინიჭებული, ასეულ ათასობით ქალი „სახელოვანი დედის“ ორდენითა და „დედობის მედლით“ არის დაჯილდოებული. სახელმწიფო უამრავ თანხებს ხარჯავს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დასაცავად, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად.

საბჭოთა ქალების უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური წარმატებანი, მათი ზრდა-დაწინაურებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, რაც ასე დამახასიათებელია სოციალისტური სახელმწიფოსათვის, აღმაფრთოვანებელი მაგალითია სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების ქალებისათვის, რომლებიც მამაკაცების მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ქალთა საერთაშორისო დღეს მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ ისეთ ვითარებაში, როცა იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის გასაჩაღებლად. ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ სულ უფრო მჭიდროდ ირაზმება და მტკიცდება მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა ქვეყანა, იზრდება და ფართოვდება მშვიდობისათვის მებრძოლთა ფრონტი, ფართოვდება ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობა, რომლის ავანგარდში საბჭოთა ქალები დგანან.

დიდია საბჭოთა ქალების წვლილი ჩვენი ქვეყნის წარმატებებში. მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ქალთა საერთაშორისო დღე უნდა აღინიშნოს, როგორც ეს ნათქვამია ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, „სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში 1952 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ქალების ჩაბმისათვის ბრძოლის ნიშნით“.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ქალთა პოლიტიკური განათლებისათვის, მათი კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის მუშაობის შემდგომ გაძლიერებას. კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ქალთა შემოქმედებითი აქტივობის გაძლიერებისათვის, ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო, კულტურულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის შემდგომი გაფართოებისათვის ყოველდღიური ზრუნვა ჩვენი საერთო საქმის გამარჯვების, კომუნიზმის საქმის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ქალები. პირველი რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): **ნინო ხმალაძე** — ელმავლის მემანქანე; **ქსენია ბახტაძე**—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი; **ვარდო იმერლიშვილი** — მრავალდაზგოსანი მრთველი; **მერიემ მეავანაძე** — სტახანოველი კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი; **ელენე ნატროშვილი** — ტრაქტორისტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ცაცა მიბჩვიანი**—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მემანქანე; მეორე რიგში: **ბაბუცა თურმანიძე** — სტახანოველი კოლმეურნე; **ნადეჟდა კაკაბაძე** — ინჟინერი; **მარო დარჯანია**— მკერავთა ბრიგადის ხელმძღვანელი; **ნინო გვენცაძე** — სტახანოველი მლუბავი; **ევგენია გორელაშვილი** — მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელი; **ნინო ჩიტაძე** — მრავალდაზგოსანი მქსოველი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი უნგრულ ენაზე

ბუდაპეშტი. (საკ. ესი). აქ უნგრულ ენაზე გამოვიდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფიის მეოთხე გამოცემა. ახალი გამოცემის ტირაჟია 50 ათასი ცალი. უნგრეთში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფიის ყველა გამოცემის საერთო ტირაჟი შეადგენს 255 ათას ცალს.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დროს, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, გამომცემლობა „სიკრა“ გამოუშვებს აგრეთვე ვ. ი. ლენინის თხზულებათა 24-ე ტომს, ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-8 ტომს. დასაბეჭდად მზადდება კრებული „სტალინი მშვიდობას იცავს“, რომელშიც მოთავსებულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიერ გამოთქმული აზრები მშვიდობის შენარჩუნებისა და სსრ კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ახალ გამოცემად გამოდის ფ. ბ. სტალინის ნაწარმოები „ლენინიზმის საკითხები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი გამოხატავს საბჭოთა ხალხის ურყევ მისწრაფებას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალ გამარჯვებათა მიღწევისადმი. ბიუჯეტი გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ დიდ ამოცანებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შემდგომი განვითარების, საქონელბრუნვის გაფართოებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლების დარგში. ბიუჯეტის ციფრებში მკაფიოდ ჩანს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვა საბჭოთა ხალხის კულტურის ყოველმხრივი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრების მომზადებისათვის, მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის.

საბჭოთა ხალხი წლითიწლობით სულ ახალ წარმატებებს აღწევს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

1951 წელს დიდი ნაბიჯი გადაიდგა წინ სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა ჩვენს საბჭოთა ინდუსტრიაში. სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1950 წელთან შედარებით 16 პროცენტით გადიდდა და ერთიანად და უფრო მეტად გადააჭარბა 1940 წლის დონეს.

1951 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების ყველა დარგის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩვენმა მანქანათმშენებლობამ შექმნა ასობით ახალი ტიპის მაღალი წარმადობის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობაში შემდგომ ტექნიკურ პროგრესს, ამსუბუქებენ შრომას, ადიდებენ მის ნაყოფიერებას.

ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების უკეთესი ორგანიზაციის, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ზრდისა და სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების მეოხებით მრეწველობის მუშების შრომის ნაყოფიერება 10 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით.

შრომის ნაყოფიერების გადიდებამ, საწარმოო სიმძლავრეთა, აგრეთვე ნედლეულისა და მასალების უკეთ გამოყენებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შემცირებულიყო სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება და გადიდებულიყო შიდასამრეწველო დაგროვება.

1951 წელს გრძელდებოდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უახლესი ტექნიკის გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო საბუღალტრო საქმიანობის უკეთესი ორგანიზაციისა და მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევების ფართოდ გამოყენების ბაზაზე. მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები, გამრავლდა პირუტყვის სულადობა და გადიდდა მისი პროდუქტიულობა. სსრ კავშირის მთელ რიგ რაიონებში ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 1951 წელს შეადგინა 7.400 მილიონი ფუთი, ამასთან სასურსათო მარცვლეული კულტურების—ხორბლისა და ჭვავის მოსავალი მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1950 წელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა შესადარ ფასებში. ამან უზრუნველყო მოსახლეობის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაძლებელი გახადა სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამის შესრულება.

1951 წელს 1950 წელთან შედარებით სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 12 პროცენტით გადიდდა და ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის კაპიტალურ დაბანდებებს.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღმავლობით ახორციელებს ვოლგასა და დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა გეგმებს. წარმატებით ხორციელდება ძლავრი ჰიდროელექტროსადგურების, არხებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობა.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი მიღწევების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე სსრ კავშირის მთავრობამ 1951 წელს, როგორც ცნობილია, განახორციელა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ომისშემდგომ პერიოდში სათვალაჟით მეოთხე შემცირება. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი, გაიზარდა მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა.

ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებებით თავს იჩენს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდი უძლეველი ძალა, რომელმაც უმაგალითოდ გააძლიერა ხალხის აქტივობა კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი სტალინური გეგმის განხორციელებაში.

საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით მიდის წინ ახალი გამარჯვებებისაკენ სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით! **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით, კომუნიზმის მშენებლობაში მისი მიღწევებით აღფრთოვანებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნები სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ სოციალიზმის საფუძვლების აშენებაში. 1951 წელი მათთვის იყო სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის, მოსახლეობის ფართო ფენების კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის წელი. დიდი წარმატებები მოიპოვა ახალი ცხოვრების მშენებლობაში დიდმა ჩინელმა ხალხმა. მოკლე ვადაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ განამტკიცა სახალხო დემოკრატიის დიქტატურის წყობილება და სერიოზული შედეგები მოიპოვა კაპიტალისტური სამყაროსაგან სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლაში. წარმატებით ავითარებს მშვიდობიან მშენებლობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, იმპერიალისტურ ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგანან ამერიკის შეერთებული შტატები, სულ უფრო ძლიერდება ახალი მსოფლიო ომისათვის მზადება.

ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ აღადგენენ ომის ორ კერას, აღადგენენ გერმანიის იმპერიალიზმს დასავლეთში და იაპონიის იმპერიალიზმს აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ წარსულ ომში ამ კერების ლიკვიდაცია კაცობრიობას უდიდეს მსხვერპლად და გაჭირვებად დაუჯდა.

ამერიკელი იმპერიალისტები ქმნიან ახალ აგრესიულ ბლოკებს, სხვის ტერიტორიებზე აშენებენ ასობით სამხედრო ბაზას, გამალებით ადიდებენ ყველა სახეობის იარაღის წარმოებას და კვცავენ სამოქალაქო მრეწველობას.

შეიარაღების ზრდა და მეურნეობის მილიტარიზაცია, რასაც კაპიტალისტური მონოპოლიები ახორციელებენ მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, აძლიერებს მოსახლეობის ფართო მასების გაღატაკებას.

ამჟამად ამერიკის მონოპოლიების მოგება ერთიერად აღემატება მათ მოგებას მეორე მსოფლიო ომის წლებში და შვიდჯერ უფრო მეტია ომისწინა წლების მოგებაზე.

ეკონომიკის მილიტარიზაციისა და შეიარაღების ზრდის მთელი სიმძიმე აწევება მშრომელებს, აძლიერებს ექსპლოატაციას, ადიდებს საგადასახადო ტვირთს, ზრდის მასობრივი მოხმარების საგნების ფასებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის გადასახადები შეადგენს 60 მილიარდ დოლარს, ე. ი. იმ გადასახადების თანხებზე სამჯერ მეტს, რაც ომიანობის დროის 1943 წელს იყო. ომამდელ პერიოდთან შედარებით მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები 8-10-ჯერ გაიზარდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იმპერიალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში სამხედრო ხარჯების უდიდესი ზრდის შედეგად მკვეთრად უარესდება მათი ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობა, მატულობს საბიუჯეტო დეფიციტები, ძლიერდება ინფლაცია. 1951-1952 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 7,5 მილიარდ დოლარს ანუ ამავე პერიოდის მთელი საბიუჯეტო ხარჯების მეოთხედს.

ასრულებენ რა ამერიკელ მონოპოლისტთა მოთხოვნებს შეიარაღების ტემპის დაჩქარების შესახებ, ინგლისის მმართველი წრეები ამცირებენ სასურსათო საქონლის იმპორტს, კვების პროდუქტებითა და სათბობით მოსახლეობის მომარაგების ნორმებს, განაგრძობენ ხელფასის გაყინვის პოლიტიკას და ამასთან მნიშვნელოვნად ადიდებენ საქონლის ფასებს. მათ თავიანთი ქვეყანა დააყენეს გაკოტრებისა და შიმშილის საშინელი პერსპექტივის წინაშე.

ინგლისის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი განუწყვეტლივ იზრდება, ოქროსა და დოლარების მარაგი სწრაფად იფიტება. მარტო 1951 წლის მეორე ნახევარში ეს მარაგი 40 პროცენტით შემცირდა. გირვანქა სტერლინგის მყიდველობითი ძალა და მისდამი ნდობა მთელ მსოფლიოში ეცემა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია აგრეთვე საფრანგეთის ეკონომიკა და ფინანსები. წლითიწლობით მატულობს ბიუჯეტისა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი, კატასტროფულად ეცემა ფრანკის მყიდველობითი ძალა. 1951 წლის დამლევისათვის ფულის მასამ საფრანგეთში მიაღწია კოლოსალურ ციფრს—1 ტრილიონ 847 მილიარდ ფრანკს. ომამდელ პერიოდთან შედარებით ფულის თანხა მიმოქცევაში 16,5-ჯერ გადიდდა. 1951 წელს საფრანგეთში საცალო ფასები 30-ჯერ აღემატებოდა ომამდელ ფასებს, მაშინ როცა ძუშების ხელფასი მხოლოდ 13-ჯერ გადიდდა. ახლა საფრანგეთის მშრომელები გაცილებით უარესად ცხოვრობენ, ვიდრე ომამდე.

მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველნაირად აღვივებენ ომის ისტერიას და ეწევიან გაძალებულ შეიარაღებას, საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას და ამხილებს ომის გამჩაღებელთა ხრიკებს. ჩვენი ქვეყანა მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ავანგარდშია და მთელ პროგრესულ კაცობრიობას რაზმავს მშვიდობისათვის საბრძოლველად. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას მოწმობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფართო გაქანება ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირის 1950-1951 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ზრდის მკაფიო მაჩვენებელია.

სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი ანგარიშისა, შეადგენს: შემოსავალი — 422,8 მილიარდ მანეთს, გასავალი—413,3 მილიარდ მანეთს და 1951 წლის წინასწარი ცნობებით შემოსავალი — 468,0 მილიარდ მანეთს, გასავალი — 441,3 მილიარდ მანეთს.

1951 წელს ისევე, როგორც 1950 წელს, ბიუჯეტი შესრულებულია გასავალზე შემოსავლის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი შესრულდა 9,3 მილიარდი მანეთის გადაჭარბებით; ბიუჯეტის შემოსავალი 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 45,2 მილიარდი მანეთით, ანუ 10,7 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი ნაწილი შეადგინა სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებულმა სახსრებმა. ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხები 1950 წლის 40,4 მილიარდი მანეთიდან 1951 წელს გადიდდა 47,8 მილიარდ მანეთამდე ანუ 18,5 პროცენტით, ბრუნვის გადასახადით მიღებული შემოსავალი გადიდდა შესაბამისად 236,1 მილიარდი მანეთიდან 247,8 მილიარდ მანეთამდე ანუ 4,9 პროცენტით.

სოციალისტური საწარმოებისაგან სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდა წარმოებდა მასალებისა და მოწყობილობის საბითუმო ფასების და მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების მნიშვნელოვანი შემცირების პირობებში.

1951 წელს მოსახლეობისაგან გადასახადებით მიღებული შემოსავლის გეგმა შესრულებულია 101,9 პროცენტით და სახელმწიფო სესხებით — 110,6 პროცენტით.

სსრ კავშირის 1951 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 1950 წელთან შედარებით მეტი იყო 28,0 მილიარდი მანეთით ანუ 6,8 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებას 1950 წელს მოხმარდა 157,6 მილიარდი მანეთი და 1951 წელს—179,4 მილიარდი მანეთი; სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს შესაბამისად 116,7 მილიარდი მანეთი და 118,9 მილიარდი მანეთი.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულების შედეგად საბჭოთა სახელმწიფოს ფინანსები, კრედიტი და ფულის მიმოქცევა კიდევ უფრო მტკიცე გახდა.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად და საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების ახალ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვის განმტკიცებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის გეგმა ითვალისწინებს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების შემდგომ გადიდებას შრომის ნაყოფიერების ამაღლების, მოწინავე ტექნიკის ყოველი ღონისძიებით განვითარების, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების საფუძველზე.

წელს მიღწეულ უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა ნათესი ფართობების გადიდებით და მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ამაღლებით, პირუტყვის სულადობის გამრავლებით და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით.

1952 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამასთან განსაკუთრებით საბინაო მშენებლობაში, უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოთა დიდი პროგრამა.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდისა და საქონელბრუნვის გაფართოების საფუძველზე 1952 წელს უფრო ამაღლდება მოსახლეობის მოხმარების დონე, გადიდდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი.

სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტს მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანების გადაჭრაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დასამტკიცებლად შემოაქვს შემდეგი თანხებით: შემოსავლის ნაწილში — 508,8 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში—476,9 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ამასთან შემოსავალი 31,9 მილიარდი მანეთით აღემატება გასავალს. 1951 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემოსავალი დიდდება 8,7 პროცენტით და გასავალი—8,1 პროცენტით.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემადგენლობაში საკავშირო ბიუჯეტი დასამტკიცებლად შემოგვაქვს შემდეგი თანხებით: შემოსავლის ნაწილში — 410,1 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 378,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტები წარმოდგენილია შემოსავლისა და გასავლის 98,7 მილიარდი მანეთი საერთო თანხით. რესპუბლიკების მიხედვით ბიუჯეტები გათვალისწინებულია შემდეგი თანხებით: რსფსრ — 54.716 მილიონი მანეთი, უკრაინის სსრ — 17.538 მილიონი მანეთი, ბელორუსიის სსრ — 3.718 მილიონი მანეთი, უზბეკეთის სსრ — 3.337 მილიონი მანეთი, ყაზახეთის სსრ — 4.427 მილიონი მანეთი, საქართველოს სსრ — 2.747 მილიონი მანეთი, აზერბაიჯანის სსრ — 1.983 მილიონი მანეთი, ლიტვის სსრ—1.471 მილიონი მანეთი, მოლდავეთის სსრ — 1.162 მილიონი მანეთი, ლატვიის სსრ — 1.415 მილიონი მანეთი, ყირგიზეთის სსრ — 1.067 მილიონი მანეთი, ტაჯიკეთის სსრ —1.013 მილიონი მანეთი, სომხეთის სსრ — 1.273 მილიონი მანეთი, თურქმენეთის სსრ — 983 მილიონი მანეთი, ესტონეთის სსრ — 1.059 მილიონი მანეთი, კარელია-ფინეთის სსრ — 845 მილიონი მანეთი.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებით გათვალისწინებული სახსრები უზრუნველყოფენ 1952 წლის გეგმით დასახულ დავალებათა განხორციელებას რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის წარმოების ზრდის დარგში და მშენებლობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დიდი პროგრამის განხორციელებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსავლით, ისე გასავლით თავის გამოხატულებას პოულობს უდიდესი რაოდენობის საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობა. ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მოსახლეობის საქმიანობა.

საბჭოთა ბიუჯეტი შეიცავს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, რაიონების, ქალაქებისა და სოფელ ადგილების 80 ათასზე მეტ ბიუჯეტს. ჩვენ არა გვაქვს ისეთი საწარმონი და დაწესებულებანი, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული არ იყონ ბიუჯეტის შემოსავლის მობილიზაციასა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვასთან.

ყოველივე ეს განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ბიუჯეტის შესრულებისათვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თვითეული საწარმოს მიერ სახელმწიფო გეგმების შესრულება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ ყველა საწარმომ და ორგანიზაციამ დროზე შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე და უზრუნველყოს სახელმწიფო სახსრების გამოყენება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებისა და საფინანსო გეგმების ზუსტი შესაბამისობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში დიდი ამოცანები დგას საფინანსო ორგანოების წინაშე. საფინანსო ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ დროზე და სრულად შემოვიდეს ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალი, და უზრუნველყონ სისტემატური და ქმედითი კონტროლი სახელმწიფო სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვისადმი.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი ნაწილი შემოდის სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა, რომელიც ვითარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონებით, უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლის განუხრელ ზრდას.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა განსაზღვრულია, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, 508,8 მილიარდი მანეთით, ე. ი. 1951 წელთან შედარებით გადიდებულია 40,8 მილიარდი მანეთით, უმთავრესად სოციალისტური მეურნეობისაგან შემოსული თანხებით.

ძირითად სახეთა მიხედვით ბიუჯეტის შემოსავალი დასროექტებულია შემდეგი თანხებით: ბრუნვის გადასახადი — 260,0 მილიარდი მანეთი, მოგების ანარიცხები — 61,8 მილიარდი მანეთი, მოსახლეობის გადასახადები — 47,4 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო სესხები — 42,5 მილიარდი მანეთი.

სახელმწიფო საწარმოთა მოგების ანარიცხები გასულ წელთან შედარებით დიდდება 14,0 მილიარდი მანეთით ანუ 29,2 პროცენტით, ხოლო ბრუნვის გადასახადის შემოსავალი დიდდება 12,2 მილიარდი მანეთით ანუ 4,9 პროცენტით. ბიუჯეტის ამ შემოსავლის ზრდა განპირობებულია წარმოების შემდგომი გაფართოებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და ამ საფუძველზე სოციალისტურ საწარმოთა ფულადი დაგროვების გადიდებით.

მოგების საერთო თანხა სახალხო მეურნეობის დარგებში 1952 წელს შეადგენს 88,1 მილიარდ მანეთს 1951 წლის 74,7 მილიარდ მანეთთან შედარებით. მოგების ზრდა შესაძლებლობას გვაძლევს მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დარჩეს საწარმოთა და სამინისტროთა განკარგულებაში წარმოების გასაფართოებლად. ამავე დროს მოგების ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტში დიდდება, ხოლო ამ ანარიცხების ხვედრითი წონა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში 1952 წელს დიდდება 12,2 პროცენტამდე 1951 წლის 10,2 პროცენტთან შედარებით.

გასულ წელს მიღწეულ იქნა სერიოზული წარმატებანი სახალხო მეურნეობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და მოგების გადიდებაში. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 26 მილიარდ მანეთზე მეტი, თუ არ ვიანგარიშებთ ნედლეულისა და მასალის საბითუმო ფასების შემცირებით მიღწეულ მომჭირნეობას. თვითღირებულების ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება და რენტაბელობის გადიდება მიღწეულ იქნა მძიმე მრეწველობის დარგებში.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საფუძველზე მთავრობამ 1952 წლის 1 იანვრიდან მნიშვნელოვნად შეამცირა წარმოების იარაღებისა და საშუალებათა საბითუმო ფასები და ტვირთზიდვის ტარიფები. საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემცირების მსჯედველობაში მიღებულ სახალხო მეურნეობის 1952 წლის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება, რამაც უნდა უზრუნველყოს 42,9 მილიარდი მანეთის დაზოგვა.

წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის სისტემატური დანერგვა, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება და კადრების კვალიფიკაციის განუხრელი ზრდა დიდ შესაძლებლობას ქმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის და ამ საფუძველზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების განვითარებას, რომელთა მიზანია საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე ნედლეულისა და მასალის დაზოგვა, მოწყობილობის უფრო სრული გამოყენება და ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელთა გადიდება.

საწარმოების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ამოცანა ის არის, რომ უფრო ფართოდ გაიაღონ სოციალისტური შეჯიბრება, დროზე გამოიხმაურონ და ყველა მუშაკის კუთვნილება გახადონ ყოველივე ახალი და მოწინავე, რაც კომუნიზმისათვის ბრძოლაში წარმოიშობა.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სამინისტრო, საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია ჯერ კიდევ მთლიანად არ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს პროდუქციის თვითღირებულების, ბრუნვის ხარჯების შემდგომი შემცირების და მეურნეობის დარგების რენტაბელობის გადიდებისათვის.

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია სერიოზული ნაკლოვანებანი თევზის სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში, რაც აღინიშნული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარსულ სესიაზე, და გასულ წელს კამჩატკის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს, სახალინის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს, ამურის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებს ჰქონდა პროდუქციის დიდი დანაკარგი და ზარალი.

დიდი ზარალი ნახა აგრეთვე სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრომ ჩრდილოეთ კომის სატყეო მრეწველობის, აღმოსავლეთის სატყეო მრეწველობისა და დასავლეთ ციმბირის სატყეო მრეწველობის მთავარი სამმართველოების ხე-ტყის დამამზადებელ საწარმოებში.

1951 წელს თვითღირებულების შემცირების დავალებანი და დაგროვებათა გეგმები ვერ შესრულეს მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ და მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ.

აღრიშნულმა სამინისტროებმა დასკვნები უნდა გამოიტანონ 1951 წელს მათი საწარმოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებიდან და მიღონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, ყველა საწარმოს მიერ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა და დაგროვების გეგმების შესრულებას.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბევრ საწარმოში არსებული ნედლეულისა და მასალის გადახარჯვის, წუნით გამოწვეული დანაკარგის და სხვა უნაყოფო ხარჯების ლიკვიდაციას.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს სპიტაკის ქარხნის 1951 წელს დიდი დანაკარგის შედეგად სახელმწიფოს დაკარგა 5,5 ათასი ცენტნერი შაქარი.

ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შედეგად შავი მეტალურგიის სამინისტროს ცალკეულმა ქარხნებმა 1951 წელს გადააჭარბეს ლითონის ხარჯვის დაწესებულ ნორმებს. ნოვოტაგილის ქარხნის საგლინავ საამქროებში გადახარჯულია 13 მილიონი მანეთის ლითონი, „ამურსტალის“ ქარხანაში — 5,4 მილიონი მანეთისა და ჩელიაბინსკის ქარხანაში — 8 მილიონი მანეთისა.

პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს აგრეთვე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება საწარმოებში და ხელფასის ფონდების მომჭირნეობით ხარჯვა. მაგრამ ყველა საწარმო როდი ასრულებს ამ მოთხოვნებს.

სასის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატში გასულ წელს უკანონოდ ანაზღაურებდნენ შეუსრულებელ სამუშაოებს, ხელფასს უმატებდნენ მოსამსახურეებს და ურიგდებოდნენ საფინანსო დისციპლინის სხვა დარღვევებს. ქაღალდისა და ხისგადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ნაცვლად იმისა, რომ მიეღო საჭირო ღონისძიებანი კომბინატის მუშაობის გასაუმჯობესებლად და აღნიშნულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად, ნებას აძლევდა მას დაეფარა ზედმეტად დახარჯული ხელფასის ფონდი.

მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს საფეიქრო-მსუბუქი მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველოს ლენინგრადის მანქანათმშენებელმა ქარხანამ 1951 წელს ვერ შეასრულა საწარმოო პროგრამა და გადახარჯა ხელფასი 13,5 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გაუმჯობესონ დაგეგმვა და შრომის ორგანიზაცია წარმოებაში და უზრუნველყონ, რომ თვითეული საწარმო ზუსტად იცავდეს მუშათა დაწესებულ რაოდენობას და ხელფასის ფონდებს.

აუცილებელია დაწესდეს მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი მიმდინარე რემონტისათვის საჭირო ხარჯებზე, რომლებიც სახალხო მეურნეობაში მრავალ მილიარდ მანეთს შეადგენს.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეამოწმა ბევრ საწარმოში მიმდინარე რემონტისათვის სახსრების ხარჯვა და ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი აღმოაჩინა.

მთელ რიგ საწარმოებში მიმდინარე რემონტისათვის ასიგნებული ფულადი სახსრები იხარჯება ისეთ მიზნებზე, რომლებიც გეგმით გათვალისწინებული არ არის. სამინისტროები და მათი მთავარი სამმართველოები ჯერ კიდევ სუსტად უწევენ კონტროლს მიმდინარე რემონტისათვის სახსრების ხარჯვას

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენება

(გაგრძელება)

და არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს ამ ხარჯების მოსაწესრიგებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სამინისტროებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს 1952 წელს სამრეწველო საწარმოთა მიმდინარე რემონტის ხარჯები 10 პროცენტით შეამცირონ 1951 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით რემონტის ღირებულების შემცირების, ამ ხარჯებში ზედმეტობის აღმოფხვრისა და ისეთი ხარჯების აღკვეთის გზით, რომლებიც მიმდინარე რემონტის ხარჯებს არ ეკუთვნის.

მომჭირნეობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სამინისტროებმა სწორად დაუგეგმონ საწარმოებს ნაწარმის ცალკეულ სახეობათა თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის სერიოზული ნაკლოვანებანი მძიმე მანქანათმშენებლობის, დაზგათმშენებლობის, ელექტრომრეწველობის სამინისტროებში და მანქანათმშენებლობის ზოგიერთ სხვა სამინისტროში და დაავალა მათ ჯეროვან წესრიგზე მოიყვანონ პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვა, აღრიცხვა და კალკულაცია.

ამ სამინისტროების მთელი რიგი საწარმოები საგეგმო კალკულაციებში ადიდებდნენ მასალებისა და ხელფასის ხარჯებს ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიისა და სათბობის ხარჯების ნორმების გადიდების, შრომის ხარჯისა და შეფასებათა ხელოვნურად გადიდების გზით, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესებიდან გადახრისათვის დაუსაბუთებელი დამატებითი ხარჯების შეტანის გზით. სამინისტროების მთავარი სამმართველოები ჯეროვნად არ ამოწმებდნენ თვითღირებულების კალკულაციებსა და გაანგარიშებებს.

მანქანათმშენებლობის სამინისტროებში პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვის ნაკლოვანებები აგრეთვე იმის შედეგია, რომ შეუწყნარებლად შეასუსტეს ყურადღება საწარმოებში ტექნიკური სამრეწველო საფინანსო გეგმების შემუშავების ხარისხისადმი.

საჭიროა გაძლიერდეს სამინისტროებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა თვითღირებულების დაგეგმვისათვის, გაუმჯობესდეს შრომისა და მასალების დანორმვა, უზრუნველყოფილ იქნას საამქრო ხარჯებისა და საერთო-საქარხნო ხარჯებისადმი მტკიცე კონტროლი.

საწარმოებში თვითღირებულების გეგმისა და საგეგმო კალკულაციების შემუშავება უნდა ხდებოდეს მოწყობილობის გამოყენების მოწინავე ნორმებისა და ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ხარჯვისა და ერთეულ ნაწარმზე შრომის ხარჯვის დამტკიცებული ტექნიკურ-ეკონომიური ნორმატივების საფუძველზე. მთავრობამ დაგმო როგორც არასწორი და საგეგმო თვითღირებულების გადიდების გამომწვევი ის პრაქტიკა, რომ საწარმოთა ხარჯების ელემენტებს და ნაწარმის ცალკეულ სახეობათა თვითღირებულებას განსაზღვრავენ მხოლოდ წინა პერიოდის ფაქტიური ხარჯების საფუძველზე, ამავე დროს ანალიზს არ უკეთებენ ამ მონაცემებს და არ ამუშავებენ პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების, აგრეთვე წარმოებაში ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევასთან დაკავშირებული უნაყოფო ხარჯებისა და დანაკარგების ლიკვიდაციის საჭირო ღონისძიებებს.

საჭიროა სამინისტროებმა, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უფრო მტკიცე ბრძოლა აწარმოონ მომჭირნეობის რეჟიმის გასაძლიერებლად, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიზნით საჭიროა ყოველდღიურად განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში, როგორც მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ძირითადი მეთოდი, უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოების მომჭირნეობითი მეთოდები, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ სახელმწიფოს მიერ საწარმოთა განკარგულებაში გამოყოფილი მატერიალური და ფულადი სახსრები.

ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის აგრეთვე საფინანსო ორგანოებსა და საკრედიტო დაწესებულებებს. მაგრამ ზოგიერთი საფინანსო ორგანოსა და საკრედიტო დაწესებულების მუშაკები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან კონტროლს საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისადმი და სუსტად სწავლობენ საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ეკონომიკასა და ფინანსებს.

ამ მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი გამომჟღავნდა 1951 წელს ყირგიზეთისა და კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებში, რომლებიც საკმაოდ გულდასმით არ ამოწმებდნენ ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ანგარიშებსა და საანგარიშგებო მასალებს და საჭირო სიმკაცრესა და მომთხოვნელობას არ იჩენდნენ საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და საფინანსო ორგანოები, სახელმწიფო ბანკი და მისი დაწესებულებანი მოვალენი არიან გაძლიერონ საქონლის წარმოებისა და მიმოქცევისადმი ყოველდღიური კონტროლი მანეთით. საფინანსო ორგანოებმა და საკრედიტო დაწესებულებებმა მტკიცედ უნდა ადევნონ თვალყური პროდუქციის თვითღირებულების და მიმოქცევის ხარჯების დავალებათა შესრულებას, ხელფასის ფონდების ხარჯვას, აგრეთვე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან ბიუჯეტში გადასახდელთა დროულად და სრულად შემოსვლას.

ბიუჯეტის ხარჯების მეტი ნაწილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალისტური მეურნეობიდან შემოდის. მოსახლეობის გადასახადები სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 47,4 მილიარდი მანეთის რაოდენობით ანუ მთელი შემოსავლის 9,3 პროცენტი.

გასულ წელს მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების საფინანსო ორგანოების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებები იყო მოსახლეობის გადასახადების აკრეფაში. რუსეთის სფსრ კრასნოდარის მხარეში, ორიოლის, ბრიანსკისა და ზოგიერთ სხვა ოლქში, აგრეთვე ბელორუსიის სსრ გროდნოსა და მინსკის ოლქებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის გეგმა დროზე არ შესრულებულა.

რესპუბლიკებისა და ოლქების საფინანსო ორგანოებმა უნდა გაუმჯობესონ მუშაობა სოფლად გადასახადების აკრეფის დარგში, ხოლო რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა საფინანსო ორგანოებს საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ საგადასახადო მუშაობაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ნებაყოფლობითს შენატანს—სესხებს, აგრეთვე ანაბრებს შემნახველ სალაროებში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო სესხი გავრცელებულ იქნა 4,8 მილიარდი მანეთის გადამეტებით. შარშან მნიშვნელოვნად გადიდდა სესხზე ხელმოწერა კოლმეურნეთა შორის, რომელთა შემოსავალი განუხრელად იზრდება.

მოსახლეობაში და სახელმწიფო ორგანიზაციებში გასავრცელებელი სახელმწიფო სესხების შემოსავალი 1952 წელს გათვალისწინებულია 42,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით. სახელმწიფო სესხთა სახსრები მოხმარდება კომუნიზმის დიად მშენებლობებს, ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება უზრუნველყოფს აგრეთვე შემნახველი სალაროების საქმიანობის განვითარებას ანაბრების მოზიდვის საქმეში.

1951 წელს ანაბრები შემნახველ სალაროებში 4 მილიარდი მანეთით გადიდდა. მეანაბრეთა რიცხვი 3 მილიონით და მეტით გადიდდა. 1952 წლის გეგმა ითვალისწინებს შემნახველ სალაროებში ანაბრების გადიდებას 4,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

სახსრების მნიშვნელოვანი შემოსვლა გათვალისწინებულია აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევისაგან, რომელიც 1951 წელს შემდგომ განვითარდა. გადიდდა ნთესებისა და პირუტყვის დაზღვევა კოლმეურნეობებში, პირადი ნებაყოფლობითი დაზღვევა.

მაგრამ სახელმწიფო დაზღვევის, განსაკუთრებით ნებაყოფლობითი დაზღვევის დარგში მუშაობა ჯერ კიდევ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. საჭიროა საფინანსო ორგანოებმა და უწინარეს ყოვლისა დაზღვევის მუშაკებმა უფრო ფართოდ განავითარონ ნებაყოფლობითი დაზღვევა და გაძლიერონ მუშაობა სადაზღვევო გადასახდელთა ასაკრეფად.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ისტორიაში უმაგალითო ტემპით ავითარებს თავის საწარმოო ძალებს.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი ზრდისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრისა და ცხოვრების სიკეთის გამრავლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის დიად მშენებლობებს, რაც ამხანაგ სტალინის ინიციატივით ხორციელდება (ტაში). დიად ნაგებობათა პირველი— ვოლგა-დონის გზა მწყობრში ჩადგება მიმდინარე წელს.

მსოფლიოში უდიდეს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო მშენებლობის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარება დიდ საბიუჯეტო ხარჯებს მოითხოვს.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის საერთო თანხა განსაზღვრულია 476,9 მილიარდი მანეთით, რომლიდანაც სახალხო მეურნეობის განვითარებას მოხმარდება 180,4 მილიარდი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს — 124,8 მილიარდი მანეთი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვას—113,8 მილიარდი მანეთი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საანგარიშსწორებო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

გრძელვადიანი დაბანდების ბანკებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა და დააწესონ მანეთით მკაცრი კონტროლი მშენებლობის მსვლელობისადმი.

საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი საბრუნავი სახსრები 1952 წელს 1951 წელთან შედარებით დიდდება 10,7 მილიარდი მანეთით. საბრუნავი სახსრების მატება განსაზღვრულია წარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობის ზრდის შესაბამისად და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებათა გათვალისწინებით. ამასთან 1952 წელს მიღწეულ უნდა იქნას სახალხო მეურნეობაში სახსრების ბრუნვის შემდგომი დაჩქარება.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდის დასაფარავად წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებულ იქნება 4,6 მილიარდი მანეთი, სახალხო მეურნეობისა და სხვა შინასამეურნეო წყაროების მოგებიდან — 6,1 მილიარდი მანეთი. საწარმოთა რესურსების წილი საკუთარი საბრუნავი სახსრების მატების დაფინანსებაში დიდდება 57.2 პროცენტამდე 1951 წლის 52,6 პროცენტთან შედარებით. ეს დიდ ბასუხისმგებლობას აკისრებს საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოგების დავალებათა შესრულებისათვის, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვის დაჩქარებისათვის.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობაში საბრუნავი სახსრების გამოყენება. ნორმირებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ბრუნვა საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო სამინისტროთა საწარმოებში 1951 წლის 9 თვეში 1950 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ოთხი პროცენტითა და მეტით დაჩქარდა.

მაგრამ მთელი რიგი სამინისტროების საწარმოებში საბრუნავი სახსრების გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი, მოწესრიგებული არ არის მუშაობა ჭარბი და ზედმეტი მასალის გამოვლინებისა და რეალიზაციისათვის, ურიგდებიან ნედლეულის, მასალის, სათბობის, აგრეთვე მზა პროდუქციის ზეგეგმითი მარაგის დაგროვებას.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზეგეგმითი მარაგის შექმნა ხშირად დაკავშირებულია პროდუქციის გამოშვების არარიტმულობასთან და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციაში მთელი რიგი სამინისტროების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებთან.

მაგალითად, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს მიტიშჩის მანქანათმშენებელ ქარხანაში, საშუალოდ მთელ 1951 წელს, პროდუქციის გამოშვება თვის I დეკადაში შეადგენდა 18,0 პროცენტს, II დეკადაში — 27,1 პროცენტს, ხოლო III დეკადაში — 54,9 პროცენტს. ქარხნის არარიტმულმა მუშაობამ გამოიწვია მუშების დიდი მოცდენა, მოწყობილობის გამოყენების დაბალი კოეფიციენტი და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დიდი ზენორმატიული ნაშთების შექმნა, რაც 1952 წლის 1 იანვრისათვის 11 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა.

სამინისტროების მთავარი სამმართველოები და მომმარაგებელი ორგანიზაციები ხშირად არასწორად ანაწილებენ საწარმოთა შორის მათთვის გამოყოფილ ფონდებს და არ იჩენენ სათანადო მანევრულობას მასალებით საწარმოთა მომარაგებაში.

სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ვიქსის ქარხანას 1951 წლის 9 თვეში ესაჭიროებოდა 2.827 ტონა ლეგირებული ფურცელი, ხოლო ამ პერიოდში შეტანილ იქნა 4.048 ტონა. აგრეთვე ზედმეტად შეჰქონდათ ქარხანაში ხარისხოვანი რკინა, სატრანსპორტერო ლენტი, მოტორები და დიზელები, რომლებიც განკუთვნილი იყო პროდუქციის დასაკომპლექტებლად.

მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს კრასნოიარსკის ქარხანაში მთავარი სამმართველოს განკარგულებით 1951 წელს სათბობი შეჰქონდათ არსებული მარაგის გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად ქარხანაში დაგროვდა ქვანახშირის ისეთი მარაგი, რომელიც მნიშვნელოვნად სჭარბობდა დაწესებულ ნორმატივებს, რამაც გამოიწვია ქვანახშირის დიდი დანაკარგი და უნაყოფო ხარჯები.

სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საბრუნავი სახსრების დაგეგმვისა და გამოყენების, მატერიალურ-ტექნიკური მოძარაგების ორგანიზაციის საკითხებს, არ დაუშვან საკონლო-მატერიალურ ფასეულობათა მეტისმეტად დიდი მარაგის შექმნა, დროზე მოახდინონ ამ მასალების რეალიზაცია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით, ყოველივე ეს წარმოადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის შედეგომი გაუმჯობესების აუცილებელ პირობებს.

საფინანსო ორგანოები და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი ვალდებული არიან ყოველდღიურად ადევნონ თვალყური როგორც საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი საბრუნავი სახსრების, ისე მათთვის მიცემული ბანკის კრედიტების მდგომარეობასა და გამოყენებას.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საფინანსო-საკრედიტო ორგანო ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას და საკმაო კონტროლს არ უწევს საწარმოებისა და ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების გამოყენებას. ამ მხრივ ყველაზე ჩამორჩენილი არიან სახელმწიფო ბანკის ტაჯიკეთისა და პენზის კანტორები, რომლებიც არ ეწევიან საჭირო ბრძოლას საწარმოებსა და სავაჭრო ქსელში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის ლიკვიდაციისათვის, თვალყურს არ ადევნებენ მეურნეობაში თავის დროზე ანგარიშსწორებას და საფინანსო დისციპლინის დაცვას.

საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებათა მუშაკებმა უნდა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, სერიოზულად გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის დასაფინანსებლად ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და საწვავის ფასების დაკლების გათვალისწინებით 1952 წლისათვის განსაზღვრულია 34,7 მილიარდი მანეთის რაოდენობით. აღნიშნული თანხიდან 17 მილიარდი მანეთი განკუთვნილია მანქანა-ტრაქტორთა და ტყესაცავ სადგურთა დასაფინანსებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გასული წლის დამლევს მიიღო გადაწყვეტილება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უნდა აღმოფხვრან ტექნიკის გამოყენებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მნიშვნელოვნად გაადიდონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის წარმადობა, მიაღწიონ კოლმეურნეობებში სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას, სამუშაოთა შესრულებას მოკლე, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და უზრუნველყონ სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში დიდი ამოცანები დგას აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების წინაშე. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაამრავლეს პირუტყვის სულადობა და გაზარდეს მისი პროდუქტიულობა.

ამასთან ერთად ბევრ საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაო არ არის შრომის ნაყოფიერება, დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ ტექნიკასა და მატერიალურ რესურსებს, არ იცავენ სახელმწიფო დისციპლინას მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში, ურიგდებიან საწვავის, მასალისა და ხელფასის ფონდების გადახარჯვას. ყოველივე ეს იწვევს ასეთი საბჭოთა მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებათა შეუსრულებლობას, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების გეგმების შეუსრულებლობას.

საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ამოცანაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებით, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკის უკეთ გამოყენებით.

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი სახსრები გამოყოფილია ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განსახორციელებლად. 1952 წელს ტყეები უნდა დაირგოს დიდ ფართობებზე, აგრეთვე უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი სამელიორაციო და სარწყავი სამუშაოები.

1952 წელს განზრახულია საცალო საქონელბრუნვის შემდგომი გადიდება, საქონლის ასორტიმენტის გაფართოება და მისი ხარისხის გაუმჯობესება.

სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ყოველთვის ვერ იჩენენ საჭირო მომთხოვნელობას მიმწოდებლებისადმი საქონლის თავის დროზე გაგზავნის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ, სუსტად იყენებენ სამრეწველო საწარმოებისათვის ცალკეულ სახეობათა საქონლის დაკვეთების სისტემას, საკმაოდ არ ზრუნავენ ადგილობრივი სასაქონლო რესურსების მოზიდვისათვის.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები საქონელბრუნვის გეგმებს აწესებენ ცალკეულ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების საკმაოდ გაუთვალისწინებლად, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ გამოყოფილი ფონდების დროზე რეალიზაციისათვის. ხშირად საქონელი სავაჭრო ქსელში შეაქვთ სეზონური მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად.

ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში კვლავ არის შეფერხებანი ისეთი საქონლით ვაჭრობაში, რომელიც სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში ჭარბად არის.

სავაჭრო ორგანიზაციების წინაშე დგას ამოცანა — გაუმჯობესონ მომხმარებელთა მომსახურება, უნარიანად მოახდინონ სასაქონლო ფონდების მანევრირება, უფრო აქტიურად მოახდინონ ზეგავლენა მრეწველობაზე პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის მხრივ, გააუმჯობესონ თავიანთი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა.

ხარჯები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის

სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარება ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა ხალხის შეგნებულობის ამაღლება, მისი განუწყვეტელი კულტურული და იდეური ზრდა ლენინ-სტალინის პარტიას მიაჩნია საბჭოთა სახელმწიფოს ძალის მძლავრ წყაროდ, კომუნიზმის გზით ჩვენი წინსვლის უაღრესად საჭირო პირობად.

საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყოველმხრივ განათლებასა და აღზრდას. წარმატებით გადაჭრა რა ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების ამოცანა, საბჭოთა სახელმწიფო ამჟამად ყველგან ახორციელებს შვიდწლიან სწავლებას, აგრეთვე ყოველი ღონისძიებით ავითარებს ათწლიან განათლებას.

1952 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლის 1.416 ათასი სტუდენტი ანუ 60 ათასით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ტექნიკუმებში მოსწავლეთა რაოდენობა 57 ათასით გადიდდება და 1.441 ათასს მიაღწევს.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ უსაზღვრო შესაძლებლობანი შექმნა მეცნიერების, იმ ნამდვილი მეცნიერების განვითარებისათვის, რომელიც, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, „...ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზადაა ემსახუროს ხალხს, მზადაა გადასცეს ხალხს ყველა მონაპოვარი მეცნიერებისა, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“.

1952 წელს გეგმით გათვალისწინებულია იმ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობის შემდგომი განვითარება, რომლებიც მუშაობენ კაცობრიობის საკეთილდღეოდ ბუნების ძალების გამოყენების, შრომის შემსუბუქებისა და მისი ნაყოფიერების გადიდების პრობლემებზე.

წელს განათლებისათვის ასიგნებულია 60,0 მილიარდი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურისათვის—22,8 მილიარდი მანეთი, სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფისათვის—37,5 მილიარდი მანეთი, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებისათვის 4,5 მილიარდი მანეთი.

ყველა ეს ციფრი მკაფიოდ მოწმობს საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ყოველდღიურ ზრუნვას მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. (ტაში).

მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისა და სრულყოფის საქმეს. უკანასკნელ წლებში შესრულებულია სერიოზული მუშაობა სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გასამარტივებლად, რამაც გაუმჯობესა აპარატის მუშაობა და შეამცირა მისი შენახვის ხარჯები.

მაგრამ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ზედმეტობის შემთხვევები სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შტატებში და საშტატო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები.

საფინანსო ორგანოებმა 1951 წელს გამოავლინეს დადგენილი შტატების დარღვევები სატყეო, ხორცისა და რძის, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის, გზათა და ზოგიერთი სხვა სამინისტროს მთელ რიგ საწარმოებში.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ა. გ. ზვერევის მოხსენების დასასრული

სახელმწიფო საშტატო კომისიამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს შტატების ზედმეტობის აღმოფხვრისა და სახელმწიფო აპარატის სტრუქტურის გამარტივების საკითხებზე, ხოლო საფინანსო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ კონტროლი დადგენილი შტატებისა და ხარჯთაღრიცხვების დაცვისადმი.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას საფინანსო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და ქმედითობის გაძლიერება. რევიზორ-კონტროლიორებმა რევიზიების დროს არა მარტო უნდა აღმოაჩინონ საფინანსო დისციპლინის დარღვევები, არამედ იბრძოლონ გამოვლინებული ნაკლოვანებათა სრული აღმოფხვრისთვისაც.

ხარჯები საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის განმტკიცებისათვის

საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლთა ავანგარდშია. საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გამომდინარეობს საბჭოთა სახელმწიფოს თვით ბუნებიდან, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი პრინციპული საფუძვლებიდან და ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან.

„მთელ მსოფლიოს, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო საბჭოთა სახელმწიფოს არა მარტო ძლიერებაში, არამედ მისი პოლიტიკის სამართლიან ხასიათშიც, პოლიტიკისა, რომელიც ემყარება ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობის აღიარებას, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პატივისცემას. არავითარი საფუძველი არ არის ექვი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ერთგულად დაიცავს თავის პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას“.

მშვიდობის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებს, ემყარება ჩვენი ქვეყნის ურყევ ძლიერებას. მხოლოდ ბეცი პოლიტიკური მოღალატენი და საბჭოთა სახელმწიფოს აშკარა მტრები შეუძლიათ განიხილონ ეს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, როგორც იმის გამოხატულება, რომ საბჭოთა ხალხს თითქოს არა აქვს თავისი ძალების რწმენა. სოციალისტური სახელმწიფო მტკიცედ იბრძვის მშვიდობისათვის იმიტომ, რომ მას ომი არ ესაჭიროება, იმიტომ, რომ საბჭოთა ხალხს აგრესიული ომი მიაჩნია ყველაზე მძიმე დანაშაულად კაცობრობის წინაშე.

ეწევიან რა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ადამიანები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკებს. „რა თქმა უნდა,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — აგრესორებს სურთ, რომ საბჭოთა კავშირი უიარაღო იყოს მათი თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის თანახმა როდია და ფიქრობს, რომ აგრესორს სავსებით მომზადებული უნდა დახვდეს“. **(მეუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა აგრესიულ სახელმწიფოთა მმართველი წრეები გაძლიერებით ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს, ამ მიზნებს ახმარენ უდიდეს სახსრებს. ომის მომზადებისა და გამალებული შეიარაღების დაფინანსება ნთქამს ამ ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტების უდიდეს ნაწილს. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ასიგნობანი ოფიციალური ცნობებითაც კი უკანასკნელ წელს ერთიანად და უფრო მეტად გადიდდა და ამჟამად შეადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტს. ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა აგრესიული სახელმწიფოების სამხედრო ხარჯები უკანასკნელ წლებში აგრეთვე ძალიან გაიზარდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკა მკაფიოდ გამოხატულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამასწინანდელ წერილში 1952-1953 საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის საკითხებზე. მაგრამ ტრუმენის განცხადების აგრესიული მკვეხარა ტონი ვერ ფარავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების შეშფოთებას იმის გამო, რომ ამერიკელი ხალხის უკმაყოფილება მათი პოლიტიკით და იმპერიალისტურ ბანაკში არსებული წინააღმდეგობანი სულ უფრო იზრდება.

აგრესიული იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით საბჭოთა კავშირი თავისი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უდიდეს ნაწილს, ისევე როგორც წარსულ წლებში, ახმარს სახალხო მეურნეობის დაფინანსებას, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას. ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის 1952 წელს გათვალისწინებულია 113,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის 23,9 პროცენტს შეადგენს. ეს სახსრები საშუალებას იძლევა საჭირო ღონისძიებანი განხორციელდეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირს არავითარი აგრესიული გეგმები არა აქვს. იგი არც ერთ ქვეყანას და არც ერთ ხალხს არ ემუქრება. მისი შეიარაღებული ძალები არსად არ ეწევიან ომს და არ მონაწილეობენ არავითარ საომარ ოპერაციებში. საბჭოთა კავშირში მოქმედებს „მშვიდობის დაცვის კანონი“, რომლის მიზანია ყველა ხალხის მშვიდობისა და მეგობრობის საქმის განმტკიცება.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, გადაულახავი დაბრკოლებაა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა გზაზე. ამ ბანაკის ძალები დღითიდღე იზრდებიან და მტკიცდებიან. მშვიდობისათვის მოძრაობა ჩვენი დროის ერთერთი უდიდესი მოძრაობაა, თანამედროვეობის მძლავრი უძლეველი ძალაა. ამ დიად მოძრაობას საფუძვლად უდევს ყველა ქვეყნის კეთილი ნების მილიონობით ადამიანთა მტკიცე გადაწყვეტილება დაიცვან მშვიდობის საქმე და თავიდან აიცილონ ომი.

* * *

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამით შთაგონებული საბჭოთა ხალხი თავდადებასა და გმირობას იჩენს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც თქვენს დასამტკიცებლად წარმოადგინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, სავსებით უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ უდიდეს ღონისძიებათა განხორციელებას სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის დარგში.

ამოცანა ის არის, რომ თავის დროზე შევასრულოთ ეს ბიუჯეტი, სავსებით გამოვიყენოთ მეურნეობაში არსებული რეზერვები, უზრუნველვყოთ მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში, მივაღწიოთ ფინანსების, კრედიტის უფრო მეტ განმტკიცებას და საბჭოთა მანეთის მყიდველობითი ძალის შემდგომ გადიდებას. სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ახალი დიდი წვლილი იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, დარაზმულნი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ყველაფერს გააკეთებენ სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის და 1952 წელს აღნიშნავენ ახალი გამარჯვებებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ამ მიზნისაკენ ჩვენ მტკიცედ მივყავართ ლენინ-სტალინის დიად პარტიას, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! **(მეუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. კრემლის სასახლეში დიდხანს არ ცხრება ოვაცია აღხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად).**

მოსკოვის ამბები

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ქართული ცეკვის ანსამბლი მოსკოვში

მოსკოვში ჩამოვიდა ქართული ეროვნული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ი. სუხიშვილის და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში მოაწყო კონცერტი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მაღალი ოსტატობით შესრულებულმა ცეკვებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სტალინური პრემიის ლაურეატებს ნ. რამიშვილსა და ი. სუხიშვილს მიართვეს თაიგულები.

რაიონული გაზეთების რედაქტორთა ორთვიანი კურსები

11 თებერვალს გაიხსნა რაიონული გაზეთების რედაქტორთა ორთვიანი კურსები. მას ესწრება სსრ კავშირის 337 რაიონული გაზეთის რედაქტორი. საქართველოდან კურსებზე 12 რაიონული გაზეთის რედაქტორია. ლექციებს კითხულობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორები, აკადემიკოსები, პროფესორები, გაზეთ „პრავდას“ სარედაქციო კოლეგიის წევრები.

კურსანტებისათვის საგაზეთო მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე ეწყობა სემინარები და ექსკურსიები.

ინდოეთში დაიხურა საერთაშორისო კინოფესტივალი

დელი, 6 მარტი. (საკდესი). დამთავრდა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც პირველად მოეწყო ინდოეთში. ფესტივალის უკანასკნელი, მეოთხე, ტური მიმდინარეობდა კალკუტაში. დიდი წარმატება ჰქონდა მაყურებლებში საბჭოთა კინოფილმებს: „ბერლინის დაცემა“, „ცირკის ასპარეზზე“, „მუსორგსკი“, „დონეცელი მეშახტეები“.

საბჭოთა კინოდელეგაციასთან გამოთხოვებისას ცნობილმა კალკუტელმა კინომსახიობმა ახინდრა ჩოუდხურიმ გამოთქვა რწმენა, რომ ფესტივალი ხელს შეუწყობს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

გამოსათხოვარ სიტყვაში კინორეჟისორმა მანორანჯან ბნატაჩარიამ ილაპარაკა საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე, საბჭოთა ადამიანების დიდ სიყვარულზე ინდოეთისადმი.

საბჭოთა კინოდელეგაციის მეთაურმა ამხ. სემიონოვმა მადლობა გადაუხადა ინდოეთის საზოგადოებრიობას საბჭოთა კინოს წარმომადგენლების გულითადი მიღებისათვის.

კალკუტის საზოგადოებრიობამ გულმხურვალედ გააცილა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც სამშობლოში გაფრინდა.

საფრანგეთის მთავრობის კრიზისის გამო

პარიზი, 6 მარტი. (საკდესი). დღეს მორიგი კანდიდატი პრემიერ-მინისტრის პოსტზე ანტუან პინეი მთავრობის დეკლარაციით გამოვიდა ეროვნულ კრებაში. პინეი ეგრეთწოდებულ „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“ იმ ჯგუფის წევრია, რომელიც აერთიანებს ყველაზე რეაქციულ ელემენტებს. პინეის წინათ ეკავა მინისტრის პოსტი იმ კაბინეტებში, რომლებსაც მეთაურობდნენ კეი, პლევენი და ფორი. წარსულში პინეი თანამშრომლობდა ვიშის მთავრობასთან და პეტენის მიერ შექმნილი ეგრეთწოდებული ეროვნული საბჭოს წევრი იყო.

თავის დეკლარაციაში პინეიმ ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობა. ხაზინის დავალიანება საფრანგეთის ბანკისადმი თანდათან მატულობს. ბიუჯეტის დეფიციტი ასობით მილიარდ ფრანკს უდრის.

რაც შეეხება იმ ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც პინეის განზრახული აქვს „იხსნას“ ფრანკი, რომელიც სწრაფად ეცემა, ისინი დეკლარაციაში მოყვანილია ძალიან ბუნდოვნად. პინეიმ დაწვრილებით ილაპარაკა მხოლოდ თავის განზრახვაზე — „ზეგავლენა“ მოახდინოს ფასებზე — და მკაცრი სასჯელით დაუმუქრა იმათ, ვინც თავს არიდებს გადასახადების შეტანას. მან აგრეთვე განაცხადა, რომ „გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს“ განახორციელებს ნაციონალიზებულ საწარმოებში და ამასთან ალბათ მხედველობაში ჰქონდა ის „რეფორმები“, რომელთა განხორციელებასაც დიდი ხანია ცდილობენ საფრანგეთის რეაქციული წრეები.

პინეიმ განაცხადა, რომ მიაღწევს კონსტიტუციის გადასინჯვას, რაც სურს საფრანგეთის რეაქციასაც, რომელიც ცდილობს მოუსპოს მშრომელებს ყველა მათი მონაპოვარი. საგარეო პოლიტიკის დარგში პინეის განზრახული აქვს განავრძოს ახლანდელი გზა, ესე იგი განაგრძოს გამალებული შეიარაღება, რაც დაკავშირებულია საფრანგეთის მონაწილეობასთან სამხედრო აგრესიულ ბლოკებში, რომლებსაც სათავეში უდგანან ამერიკელი იმპერიალისტები.

პინეის პროგრამას მხარი დაუჭირეს ეგრეთწოდებულმა „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელებმა“, რადიკალებმა, „სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის“ კათოლიკეთა პარტიის წევრებმა, დეგოლელთა და სხვა დაჯგუფებათა ნაწილმა. პინეის როგორც პრემიერ-მინისტრის რწმუნებათა დამტკიცებას ხმა მისცა 324 კაცმა 206-ის წინააღმდეგ. დეგოლელთა პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ დეგოლელთა პარტიის წევრი დეპუტატები კენჭისყრის დროს თავს შეიკავებენ. მაგრამ ამ ჯგუფში, რომელიც დიდი ხანია იბრძვის ხელისუფლებისათვის, უთანხმობა წარმოიშვა. დეგოლელთა პარტიის წევრმა ბევრმა დეპუტატმა, ამ პარტიის ლიდერთა განკარგულების მიუხედავად, ხმა მისცა რწმუნებათა დამტკიცებას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 6 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს და ზარალს აყენებენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებსა და ლისინმანელთა ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს 2 ავიაგამანადგურებელი მოწინააღმდეგის იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც თავს ესხმოდნენ ვონსანის, ნამფოსა და სუკჩხონის რაიონებს.

ომის ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა წინააღმდეგ

„მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გამოძიებას, რათა შეწყდეს ეს ბოროტება!“

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური სამდივნოსადმი

ბერლინი, 7 მარტი. (საკდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია:

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სახელით, რომელიც აერთიანებს 64 ქვეყნის 135 მილიონ ქალს, ჩვენ მთელი მსოფლიოს გასაგონად მტკიცედ გიცხადებთ ენერგიულ, გადაუდებელ პროტესტს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ბაქტერიოლოგიურ იარაღს იყენებენ კორეის ჯარებისა და ჩინელ მოხალისეთა ჯარების ბანლაგებში და ზურგის მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ. ჩვენ გამოთქვამთ აღშფოთებას, რომელიც ამ საზიზღარმა მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს ყველა წესიერ ადამიანში.

შეერთებული შტატები პირველად როდი ხმარობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რაც კაცობრიობის კონვენციების შელახვა და არღვევს ყველა ცნობილ საერთაშორისო კონვენციას ომის წარმოების შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 1951 წლის 9 მაისის ცნობის თანახმად, კორეის სახალხო მთავრობამ მოითხოვა, რომ გენერლები მაკარტური და რიჯუეი მიცემულ იქნან სამართალში, როგორც სამხედრო დამნაშავენი, კორეის ომში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისათვის.

მეცნიერთა მრავალი თაობა მთელ თავის ძალღონეს ახმარდა მუშაობას ეპიდემიების მოსახსპობად. ხოლერა, ყვავილი და სხვა საშინელი სენი მილიონობით ადამიანს სპობდა. ამ ეპიდემიებზე გამარჯვება მეცნიერების ტრიუმფი იყო.

მაგრამ ახლა, ხანგრძლივი მზადების შემდეგ, იაპონელ სამხედრო დამნაშავეებთან თანაშრომლობით, შეერთებული შტატები იყენებენ 16 სახეობის ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რომელიც მათ შექმნეს, რათა განაგრძონ „ტოტალური ინტერვენციის“ თავიანთი ბარბაროსული და მზეცური პროგრამის განხორციელება იმ მიზნით, რომ მოსპონ კორეის მთელი მოსახლეობა და უნაყოფო უდაბნოდ გადააქციონ კორეა.

არის უდავო დამამტკიცებელი საბუთები, რომ ამერიკის ჯარები ბაქტერიოლოგიური ომის მსვლელობაში იყენებენ ბუზებს, ობობებს, ჭიანჭველებს, მოსკიტებსა და ბაქტერიებით დასნეზოვნებულ სხვა მწერებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიოს ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარება, რათა აკრძალოს მისი გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმედს გაუცრუებს მთელ მშვიდობისმოყვარე პატიოსან კაცობრიობას.

მთელი მსოფლიოს ქალები შეძრწუნებული და თავზარდაცემული არიან ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით. ეპიდემია ყველას ემუქრება. ამიტომ ბაქტერიების გავრცელებით ბაქტერიოლოგიური ომი საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. ომის წარმოების ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენება საზიზღრობა და მზეცობა, უფრო მეტი საშინელებაა, ვიდრე ჰიტლერის მიერ გაზის კამერების გამოყენება, რაც დაგმობილ იქნა ნიურნბერგის პროცესზე.

თქვენ, რომელთაც გეკისრებათ პასუხისმგებლობა ცივილიზებული კაცობრიობის უფლებათა დაცვისათვის, არ უნდა სდუმდეთ, როცა ყოველდღე მზეცობას სჩადიან უმწეო ადამიანების წინააღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დაიწყოთ გამოძიება, რათა შეწყდეს ეს საშინელი ბოროტება.

წერილს ხელს აწერს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების ხრიკები ირანში

ახალი ზემოქმედება ირანის მთავრობაზე

თეირანი, 6 მარტი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც ლონდონიდან დაბრუნდნენ ინგლისის საქმეთა რწმუნებული მიდლტონი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენელი პრიუდომი, თეირანში ნავთის საკითხზე წარმოებულ მოლაპარაკებას თავისებური „სამმხრივი“ ხასიათი აქვს. მიდლტონი და პრიუდომი ცალცალკე ესაუბრნენ ირანის პრემიერ-მინისტრს მოსადიკს, ხოლო შემდეგ „ეთთბირნენ“ ამერიკის ელჩს ჰენდერსონს.

გაზეთი „ირანი“ თავის დღევანდელ კომენტარში ამერიკის თეირანელი ელჩის ჰენდერსონის ფარული საქმიანობის შესახებ წერს: „ამტკიცებენ, რომ ამერიკის საელჩო თეირანში დიდ როლს ასრულებს თეირანის მოლაპარაკებაში და ხელმძღვანელობას უწევს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენლებს. აგრეთვე ამბობენ, რომ გუშინ საღამოს ინგლისის საქმეთა რწმუნებულსა და ამერიკის ელჩს კვლავ ჰქონდათ საუბარი“.

ბეირუთი, 6 მარტი. (საკდესი). თეირანიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ გრძელდება ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების ზემოქმედება, რომელნიც ცდილობენ ხელი აღდონ ირანის მიერ ნაციონალიზებულ ნავთის სამეიდრე. როგორც თეირანის გაზეთების „ეთელაათისა“ და „ეურნალ დე ტეჰერანის“ ცნობებიდან ჩანს, ნავთის პრობლემის გადაჭრისას უთანხმოება ირანის მთავრობასა და ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს შორის „ისევ წინანდელი რჩება“ და ეხება შემდეგ საკითხებს: იმ უცხოელ სპეციალისტთა უფლებებსა და რწმუნებებს, რომლებიც სურთ თავს მოახვიონ ირანის მთავრობას ირანის ნავთის მრეწველობის საწარმოთა მართვისათვის, ინგლისელი სპეციალისტების დაქირავების შესაძლებლობას, აგრეთვე ირანის ნავთის გასასყიდ ფასს.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრის დუგლასის აღიარება

ნიუ-იორკი, 6 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს წევრი დუგლასი, რომელიც ფილადელფიაში გამოვიდა, შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას და, კერძოდ, განაცხადა:

„აზიაში ჩვენი პრესტიჟი დაეცა მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე ყველაზე დაბალ დონემდე. ამჟამად აზიაში ჩვენ გვაიგივებენ არა თავისუფლების იდეებთან, არამედ ზარბაზნებთან“.

ილაპარაკა რა შეერთებულ შტატებში გაძლიერებულ რეაქციულ დევნაზე, დუგლასმა თქვა: „ყველას, ვინც სამხედრო პოლიტიკას არ იზიარებს, საეჭვოდ თვლიან... შიში სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სულ უფრო ხშირად აიძულებს ან დუმდნენ, ან მიემხრონ საერთოდ მიღებულ თვალსაზრისს. შიში ძლიერდება—ეს არის სამუშაოს დაკარგვის შიში, გამოძიებაში მოხვედრის შიში, სამარცხვინო მოვლენაზე გაკვრის შიში. ამ შიშმა სტანდარტული გახადა ჩვენი აზროვნება, შეამცირა იმ პრობლემების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება თავისუფალი საზოგადოებრივი განხილვის საგანი გახდეს, და ბევრი მოაზროვნე ადამიანი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

ამ შიშმა შეაღწია უნივერსიტეტებშიც კი— ჩვენი სულიერი ძალის დიდ ციტადელებში — და გახრწნა ისინი. ჩვენ ვხედავთ, როგორ ეწევა უნივერსიტეტებში ადმინისტრაცია უსაზზღრეს ინკვიზიციას, როგორიც კი ჩვენს ქვეყანას ოდესმე უნახავს“.

საქართველოს ფერწერის ბრიგადა

გუდაუთი, 6 მარტი. (საკდესი). ზუდიპეშტის საერთაშორისო ტურნირის მესამე ტური ხასიათდებოდა გამაკუთრებული დაძაბულობითა და სიმწვავით. შეუპოვარ ბრძოლაში პოლონეთის ჩემპიონმა სლივამ მოუგო გერმანელ ოსტატ პლატცს. ყველა დანარჩენ დაფაზე შეუპოვარი ბრძოლა იყო. მშვენივრად გათამაშა მთელი პარტია მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა გოლობბეკის (ინგლისი) წინააღმდეგ. შუა პარტიაში მან ლამაზად შესწირა პაიკი და მალე ეტლი მოიგო მხედარში. გადადებულ პოზიციაში ბოტვინიკი დიდ უპირატესობას ინარჩუნებს.

გელერ-ბარცას (უნგრეთი) პარტიაში გათამაშებულ იქნა სლავური დაცვა. საბჭოთა ოსტატმა უკვე მე-17 სვლაზე მიიტანა ენერგიული იერიში შავების მეფეზე. მან მოიგო პაიკი და, მიუხედავად სასტიკი ციანტლტისა, შეძლო გაეიდიდებინა თავისი მატერიალური უპირატესობა. გელერმა პაიკში მხედარი მოიგო, 52-ე სვლაზე ბარცამ თავი დამარცხებულად ცნო.

ყაბინით დამთავრდა საბო (უნგრეთი) — ო'კელის (ბელგია) პარტია. დანარჩენი პარტიები გადადებულია.

კერეს-ხმისლოვის პარტიაში თეორებს ზედმეტი პაიკი აქვთ. პეტროსიანს გადადებულ პარტიაში პილნიკთან (არგენტინა) უარესი მდგომარეობა აქვს.

საქართველოს პირველობა ჭადრაკში

6 მარტს დამთავრდა გადადებული პარტიების გათამაშება. ო. წოწორიაშვილის და ა. ეგრალიძის პარტია ყაბინით დამთავრდა. ე. ჩირაქაძ-ა. ბლაგიძის და თ. გიორგაძე-რ. კაკიაშვილის პარტიებში მშვავე თამაში გაჩაღდა. ა. ბლაგიძე დებიუტში მოხდენილად ართულებდა პარტიას. მიტელშპილში მან ეტლის გონებამახვილური მანევრით მოიგო პაიკი. შემდგომში მეორე პაიკის მოგებით ა. ბლაგიძემ გამარჯვებას მიაღწია.

მეორე შეხვედრა გიორგაძე-კაკიაშვილს შორის დაუმთავრებელი დარჩა. თ. გიორგაძე ინარჩუნებს ფიგურების უკეთეს განლაგებას.

ახალი მარკის სიგარეტები

თბილისის თამბაქოს პირველ და მეორე ფაბრიკებში შეუდგნენ ახალი მარკის სიგარეტების გამოშვებას. ათვისებულია და მალე მასობრივად იქნება გამოშვებული ორი ახალი მარკის სიგარეტი — „ოუენე“ და „ნოვიე“.

სიგარეტი მაღალი ხარისხის თამბაქოსაგან მზადდება.

მენდელეევის საზოგადოებაში

10 მარტს საღამოს 8½ საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების წევრთა წლიური კრება.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 10 მარტს, საღამოს 8 საათზე, ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 2) აწყობს საზოგადოების ნაშდვილი წევრის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის **ვ. ესაიაშვილის** ლექციას თემაზე: **„ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის შესახებ“.**

ღღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — 8 მარტი. სტახანოველ ქალთა შრომითი წარმატებანი. საინფორმაციო ცნობა ეროვნებათა საბჭოს 1952 წლის 7 მარტის სხდომის შესახებ. საინფორმაციო ცნობა კავშირის საბჭოს 1952 წლის 7 მარტის სხდომის შესახებ. კრემლის დიდ სასახლეში.

მეორე და მესამე გვერდები — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ა. გ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

9 მარტს

6.25 — დვორეკის სლავური საცეკვაობები. 7.30 — ქართული ხალხური სიმღერები თვითმოქმედი ანსამბლების შესრულებით. 11.10 — მუსიკალური ნაწყვეტები კინოფილმებიდან. 11.30 — „პიონერთა დაფიონის“ საკვირაო გადაშვება. 12.15 — ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონია. 16.00 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ № 60. 16.45 — კონცერტი წითელდროშოვანი ანსამბლის შესრულებით. 17.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00 — ვ. შავგულიძის საუბარი „ფართოდ ინერგება ნოვატორ ც. ღლონტის გამოცდილება“. 19.15 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტის გ. ქავთარაძის კონცერტი. 20.45 — პოპულარული მუსიკის კონცერტი. 21.00 — საუბარი. 21.30 — კონცერტი. 21.40 — გადაცემა ოკეანედან: „მწვრალი მიკროფონთან“. 22.00 — კაზანცევის კონცერტის მეორე განყოფილების ტრანსლაცია. 00.05 — სცენები ბიზეს ოპერიდან „კარმენი“.

ღღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — პიკის ქალი (მე-9 ან.); **რუსთაველის სახელობის** — ქორწინება და შეშლილის წერილები; **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე; **გრიბოედოვის სახელობის** — ოცდაათი ვერცხლი (62, 63 ან.); **სომხური დრამის** — ფაქიზი განცდები; **მუსიკალური კომედიის** — ბრწყინვალე მომავალი (მე-4 ან.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (მე-17 ან. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — თეთრად მოსჩანს აფრა ეული (10 ს.); **სანკულტურის** — ერთი ოჯახის ისტორია; **თოჯინების ქართული** — ნანა ტყეში (11 ს.); **სახელმწიფო ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე **მარიამ ალექსანდრეს ასულმა ჯაღალაშვილმა**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 212, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი დავითის-ძე ჯაღალაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

მოქალაქე **მარიამ მიხეილის ასულმა სულხანიშვილმა**, მცხოვრებმა რეზერვუარის ქ. № 40, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვლადიმერ ალექსის-ძე სულხანიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის I ინსტანცია.

ცოლისდა მანანა შვილით თამარით, სიძე გიორგი ანთაძე შვილებით თინათი, დოდოთი და ოთარით იუწყებიან **იოსებ იოსების-ძე გომელაურის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-III, 2 ს. ქობულეთის აღმართი, 3.

ქენია და ანტონ თავართქილაძეები შვილებით: ლეილა, ზინა, თინა და ვასილით, სიძით შ. აბრამაშვილით იუწყებიან **ბიძის შალვა გიგოს-ძე ვასაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ლარისა, შვილი ლიალია, სიძე ვახტანგ ქურციკიძე იუწყებიან **ალექსანდრე ლევანის-ძე ქუჯაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. ლოტკის, 24 (ლენრაიონი).

მეუღლე ლილი, შვილები სევერიანე, მედეა, სიდედრი მარგარიტა ჩხეიძე იუწყებიან **პავლე სევერიანეს-ძე ლორთქიფანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10-III, 7 ს. გამ